წლიწადი მეორე    ფასი 5 კაპ.    ხუთშაბათი, 18 მარიამობისთვე 1916 წ.    № 183

# საქართველო

[illegible] განცხადებანი მი-იღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში [illegible] ... ხელთნაწერი სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

[illegible] პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

**უპრეპიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

## განცხადება
**გამგეობა კახეთის მცირენდოვნის დაწესებულებათა კავშირისა იწვევს ინსტრუქტორ-რევიზორს.**
ჯამაგირი წლიურად 1800 მანეთი, სამგზავრო ბილეთი მეორე კლასისა, დამატებით დღიურად 5 მანეთი.
თხოვნები უნდა გამოიგზავ. კავშირის გამგეობის სახელობაზედ ქ. თელავში
(5-214-3)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორნებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
[illegible] „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — შოკოლადი
ადგილობრივი და უცხოური სასმელები, [illegible]
პატრონი [illegible] ს. გიგიბერი[illegible].

## ახალი მელანი
**კოტე ონიკაშვილისა**
მელანი [illegible]
დაგამზადე მელანი და ვეიდი შემდეგ ფასებში
[illegible]
მსურველ მივყავი ჩემი მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
[illegible]
## კახური ღვინო
[illegible] ქუჩა № 4.
[illegible]
(185—წ.)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ხუთშაბათს, 18 მარიამობისთვეს
## სინემატოგრაფი, საზანდარი
პარასკევს, 19 აგვისტოს,
ქართველ მსახიობთა მიერ ტ. აბაშიძის, ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I
**უჩტვიტაძე**
კომედია 1 მოქ. გუნიასი.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(1—218—1)

II
**სოფლის ფერშალი**
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

## შეშის საწყობი
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზ
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.)
ტელეფონი 5—96.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
## მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჭაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ვამზადებთ პიროგით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-23)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
—პროვიზორის ახვლედიანისა—

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის
15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

### თბილისი, 18 მარიამობისთვე.

**ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად.**

ღვთის ანაბარად მიგდებული ხევსურეთი ერთი დაუსრულებელი ბოროტმოქმედების სარბიელად გადაქცეულა იმ საპოლიციო ადმინისტრაციისათვის, რომელსაც ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობა და ყურისგდება აქვს დაკისრებული! აუწერელია ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ხევსურეთს მას აქეთ, რაც ორ-წყალში დაბინავებული ეგზეკუცია თავის დანიშნულების აღსრულებას შეუდგა. რამდენი ზნეობრივი დამცირება, რამდენი ფიზიკური ტანჯვა და ცემა-ტყეპა, რამდენი ქონებრივი ზარალი მიუყენებიათ ამ საწყალი ხალხისათვის! და ყველაფერი ეს დაიმალებოდა ისე, როგორც პოლიციის ბევრი ბოროტმოქმედება დამალულა სხვა მიყრუებულ კუთხეში, რომ ერთ-ორ მადლიან ადამიანს ხევსურეთის მარტიროლოგია და წამება დღის სინათლეზე, გაზეთის ფურცელზე არ გამოეტანა! რამდენიმე კორესპონდენცია დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში ხევსურეთზე და პოლიციის იმ ბოროტმოქმედებაზე, რომელსაც ამ მხარეში ადგილი ჰქონია. ხვალინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება კორესპონდენცია ბ-ნ ისარისა, ისევ იმავ ხევსურეთზე. შეუძლებელია, ამ წერილებში მოყვანილი ფაქტები კაცმა წაიკითხოს და საწყალი, დაბრიყვებული ხევსურეთის ცოდოთი არ დაიწვეს! უნდა მართალი ითქვას, რომ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია გაზეთში დაბეჭდილ ამბებს და თვენახევარ, ორ თვის წინედ საქმის გამოსაძიებლად ჟანდარმის ოფიცერი გაეგზავნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოძიებას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ეს საგანგებოდ გაგზავნილი მოხელე ს. ახმეტას არ გასცილებია, 80 ვერსის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც საშინელი ბოროტმოქმედება ხდებოდა. ამ მოხელეს თავისთან დაუბარებია რამდენიმე ხევსური, რომელნიც ხევსურეთიდან გასული არიან ზოგი ათი წელიწადია, ზოგიც მეტი და იქაურობისა არაფერი გაეგებათ. ამ „გამოძიების" შემდეგ კვლავ გოდების კორესპონდენციები მოგვივიდა ხევსურეთიდან, რედაქციაში საგანგებო დეპუტაციაც კი მოვიდა და ჩვენც კავკასიის მაღალი მთავრობის ყურადღება კიდევ ერთხელ ამ გარემოებას მივაქციეთ. ეხლა დანამდვილებით გავიგეთ, რომ თბილისის გუბერნატორის განკარგულებით საგანგებო კომისია იგზავნება ადმინისტრაციის მიერ ხევსურეთში ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად. გავიგეთ, თითქოს, კომისიის მუშაობა თიანეთის მაზრის უფროსის ყარალაშვილის მეთაურობით იწარმოებდეს. აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ასეთი განკარგულების სრული შეუსაბამობა და შეუწყნარებლობა. ბ-ნი ყარალაშვილი, რომლის მაზრაში და რომლის თვალ წინ ხდებოდა ეს ბოროტ-მოქმედება, არამც თუ კომისიის მეთაურად, არამედ მის წევრადაც არ უნდა დაინიშნოს. პირიქით, ყარალაშვილს უნდა მოეკითხოს მთელი ეს ბოროტმოქმედება და მან პასუხი უნდა აგოს მის მაზრაში.

ამასთან, თუ მთავრობა მართლაც დაინტერესებულია საქმის ნამდვილი ვითარება გაიგოს, ეს საგანგებო კომისია უნდა შუაგულ ხევსურეთში შევიდეს და იქ მოახდინოს გამოძიება. მან უნდა მოიაროს ის ადგილები, სადაც თარეშის და აწიოკების ტალღას გადაურბენია, როგორც მაგალითად დათვისის, ბარისახოს და სხვა სანაცვლოებში. კომისიამ უნდა სათითაოდ გამოჰკითხოს იქაურ გლეხებს და წესისაებრ ჩვენება ჩამოართვას, და თანაც თავდებად დადგეს, რომ კომისიის უკან დაბრუნების შემდეგ ამ გლეხებზე შურს არ იძიებს თიანეთის პოლიცია. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ნამდვილი სიმართლის ცოდნა.

კავკასიის უმაღლესის მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს, რომ სოფლის უდანაშაულო ხალხი მის აგენტების მიერ ტყუილ-უბრალოდ არ ისჯებოდეს მაშინ, როდესაც ამ ხალხს დღეს უმისოდაც დიდი გაჭირვება და უბედურება დაატყდა.

## ქართლის შთაბეჭდილებანი

ზაფხულის ერთი თვე ქართლში გავატარე. შეძლება მქონდა ცოტათი უფრო ახლო გავსცნობოდი ამ კუთხეს, რომელიც ერთს დროს მთელს საქართველოს მეთაურობდა და დღესაც მის შუაგულს წარმოადგენს. აქ მოჰქონდათ ჩვენს მტრებს უმძაფრესი იერიშები, აქ იღვრებოდა ყველაზე უხვად ჩვენი წინაპრების სისხლი. ფეოდალური კოშკები და ციხე-სიმაგრეები ყოველ ფეხის გადადგმაზე მოწმობენ იმ ბედშავ დღეებს. ისტორიული ნაშთების სიმდიდრით ქართლს ვერც ერთი პროვინცია ვერ შეედრება ძველი ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-საათაბაგოს გარდა. როგორც სჩანს ჩვენს ტომს აქ უცხოვრია განსაკუთრებულად ინტენსიური ცხოვრებით და ყველაზე მეტი შემოქმედებითი ენერგია აქ გამოუაშკარავებია. ამ ენერგიას გადაურჩენია ჩვენი სამშობლო დაღუპვას. ქართლი რომ დაგვკარგოდა ისე, როგორც ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი ან აფხაზეთი დავკარგეთ, საქართველოს ბედი ტრაგიკულად გადასწყდებოდა: ამერეთი საბოლოოდ მოსწყდებოდა იმერეთს და ჩვენი ერი წელში მოიზნიქებოდა ხერხემალ-გატეხილი ფალავანივით.

არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საფრთხე საბოლოოდ თავიდან აცილებულია. ვისაც საქართველოს ეთნოგრაფიული რუკა უნახავს უეჭველად შეამჩნევდა, რომ ყველაზე მეტად უცხო თესლით სწორედ ქართლია აჭრელებული. ჩრდილოეთიდან ოსობა ჩამოწოლილა ლიახვის ხეობაში, სამხრეთით თითქმის მთელი ბაკურიან-ბორჯომის ხეობა ბერძნებსა, რუსებსა და ოსებს დაუჭერიათ. ქართველობას მხოლოდ ვიწრო ყელი შერჩენია ხელუხლებლად მტკვრის ორივე ნაპირას. გორის აღმოსავლეთით ეს ყელი თანდათან ფართოვდება, მაგრამ სამაგიეროდ ალაგ-ალაგ სომხების მოსახლეობითაა დაწინწკლული.

მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია ძველი ქართული რასა. ქართლში ის შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს უცხოელთა იერიშებს და ალაგ-ალაგ ახალ პოზიციებსაც იპყრობს. ეს განსაკუთრებით გორზე ითქმის. გორი ქართლის დედაქალაქია, მისი გეოგრაფიული და კულტურული ცენტრი. აქედან მიდის გზები ცხინვალისა, ატენისა და მეჯვრისხევისკენ, აქ იყრის თავს თბილისიდან, ქართლიდან და ოსეთიდან შემოზიდული საქონელი. თუ საულელტეხილო რკინის გზა კავკავიდან გორზე მოვიდა, როგორც ერთი პროექტითაა განზრახული, მაშინ გორის ეკონომიური მნიშვნელობა ერთი ათად გაიზრდება: ის გახდება რუსეთის პურის, ქართლის ხილის, კახეთის ღვინის და იმერეთის პარკის ერთ უმნიშვნელოვანეს საწყობ და საალებმიცემო ადგილად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მომავალი მჭიდროდ არის შეკავშირებული გორის მომავალთან. ეს ქალაქი კი ამ ოციოდე წლის წინათ წმინდა სომხური ქალაქი იყო. როცა იქ თვითმართველობა შემოიღეს, ხმოსნებათ გამოუკლებლივ სომხები გავიდნენ, იმდენად ნაკლები იყო ცენზიანი ქართველების რიცხვი. დღეს ქალაქის თვითმართველობაში არც ერთი სომეხი არაა და აღებმიცემობაც თითქმის სავსებით ქართველი ვაჭრების ხელშია. სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში მოხდა ეს ცვლილება. უცხოელი ჩარჩებისა და მევახშეების ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელიც უკვე საკმაოდ ძლიერია ქონებითაც და შეგნებითაც.

გორის მაგალითი საუკეთესო იმედებს გვიღვიძებს. როგორც ამბობენ მსგავსი ევოლიუცია ხდება სიგნაღსა და თელავში. შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა სომხის ბურჟუაზია საბოლოოდ განიდევნება ჩვენი პროვინციული ქალაქებისა და სოფლებიდან და სომხების უმაგრესი ციტადელი—სოლოლაკი ოაზისივით განმარტოებული დარჩება საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისის სომხობას მოაკლდება მასაზრდოებელი ფესვები, ჩვენს მიწა-წყალში რომ აქვს გადგმული და ქართველ ბურჟუაზიას გაუადვილდება უკანასკნელი იერიშების მიტანა. ცნობილია, რომ სომხის ბურჟუაზია ჩვენში იმდენად სამეწველო იარაღებითა ან სამეურნეო ინვენტარით არ არის მდიდარი, რამდენადაც მოძრავი კაპიტალით, ე. ი. ფულით. ფული კი ისეთი სიმდიდრეა, რომ ადვილად გადადის ერთი ხელიდან მეორე ხელში და თითებს შუაც ადვილად ძვრება. ეროვნული სიმდიდრის შემქმნელი წყარო ბოლოს მაინც სოციალური შრომა და მიწა-წყალია, ეს ორი ფაქტორი კი ჯერჯერობით უფრო ქართველობის ხელშია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან კაპიტალიც იქ მოგროვდება, სადაც მოწესრიგებული შრომა და ბუნებრივი სიმდიდრეა.

ესეცაა, რომ ქართლში ბევრი რამ აბრკოლებს ეროვნული შრომის მოწესრიგებას. ამით აიხსნება, რომ თუმცა ეს კუთხე ბუნების მიერ უხვად არის დაჯილდოებული, თუმცა მისი ჰავა და ნიადაგი საუცხოვო პირობებს ჰქმნიან მეხილეობისა და მებოსტნეობისათვის, ხალხი მაინც ღარიბად სცხოვრობს შედარებით. კოოპერაციის იდეა მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და ისიც უფრო მომხმარებელი საზოგადოების სახით. ხალხი ჯერ კიდევ ვერ ასულა იმ შეგნებამდე, რომ კოოპერაცია ერთი ზოგადი პრინციპია ცხოვრებისა და შრომისა, რომ კოოპერაციის შემწეობით შეიძლება არა მარტო შაქრის გამოწერა, არამედ გზის გაკეთება, წყლის გაყვანა, ჭაობის გაშრობა, ძვირფასი მანქანის შეძენა და სამეურნეო ნაწარმოების ბაზარზე გატანა. თუ ქართლელ გლეხს ეს არ ესმის, იმიტომ კი არა, რომ ის ინდივიდუალისტია, არამედ იმიტომ, რომ ის კულტურულად უკან ჩამორჩენილია. იმერელი უფრო ინდივიდუალისტია ვიდრე ამერელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერ თვისებათა სხვა და სხვაობა ლიხის მთის გადაღმა უფრო განვითარებულია ვიდრე გადმოღმა; თვით იმერული სოფლის გარეგნობას ეტყობა, რომ იმერელ გლეხში უფრო მეტად არის განვითარებული პიროვნული კულტურა: განმარტოებით მდგომარე სახლკარი, ღობით ან ყორით შემოზღუდული ეზო, ბაღჩა და ყვავილნარი უფრო ხელ-შემწყობ პირობებს ჰქმნიან ინდივიდუალურ, ინტიმურ გრძნობათა განცდისათვის, ვიდრე ქალაქურად ერთად მიყრილი სახლები და მტვრიანი ქუჩა, რომელსაც დილიდან საღამომდე ხალხი და ნახირი სტკეპნის.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება იმერეთის სოფელში უფრო არის განვითარებული ვიდრე ქართლში. ეს ალბად სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ წოდებრივი წინააღმდეგობანი აქ უფრო ძლიერია და გლეხსა და თავად-აზნაურს შორის ხიდი ჩატეხილია. ფეოდალური წესწყობილების ტვირთი ქართლელ გლეხს უფრო მძიმედ და უფრო ხანგრძლივად აწვა კისერზე ვიდრე კახელს ან იმერელს და ამიტომ ის უფრო უნდობლად და მტრულად უცქერის ყოფილ მებატონეს ვიდრე მისი თანამოძმე. მაშინ როცა იმერელმა და კახელმა გლეხმა კარგა ხანია თავი გამოისყიდა, ქართლში ახლა ხდება დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის ლიკვიდაცია. გასაკვირალი არ არის, რომ აგრარულ მოძრაობას ამ ათი წლის წინათ არსად არ ჰქონია ისეთი ანტიკულტურული ხასიათი როგორც ქართლში. მაშინ როცა გურია-სამეგრელოში და იმერეთში გლეხობა უფრო ობიექტური მიზნებისთვის იბრძოდა, სახელდობ მიწის უფლებისა და დემოკრატიული წესწყობილებისათვის, ქართლელი გლეხები მემამულეებს თავებს სჭრიდნენ, სახლებს ანგრევდნენ და ინვენტარს ანადგურებდნენ. ბოლოს ორივე მხარე, გლეხობაცა და თავად-აზნაურობაც, სისხლიდან დაიცალა. ორივეს შერჩა ფარული ნაღველი, რაიცა კიდევ დიდხანს აგრძნობინებს თავის სიმწარეს. იმერეთში თავად-აზნაურობა თითქმის გაითქვიფა ხალხის მასაში. ამ გარემოებამ იქ ხელი შეუწყო ხალხის გაკეთილშობილებას, მიტომ, რომ წარსულში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ფაქიზი კულტურის მატარებელი თავად-აზნა- [illegible]

[illegible] კიდევ უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, რომ აბანოს იდეა არ არსებობს მისი შეგნებისათვის. ეს კი ძალიან დიდი უბედურებაა არა მარტო ჰიგიენური, არამედ ეკონომიური თვალთსაზრისითაც: უსუფთაო სხეული საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ყოველგვარი სნეულებისათვის, მუშაობაშიც ის უფრო ზანტი და უენერგიოა. სისუფთავის საკითხი ერთი უდიდესი სოციალური საკითხია ქართველი ხალხისთვის: აბანო ჩვენს სოფელს არა ნაკლებ სჭირია ვიდრე სკოლა, წვრილი კრედიტი ან კოოპერატივი. და იდეური ინტელიგენციის ვალდებულებაა იზრუნოს ამ საგანზე.

უკულტურობასთან ერთად დუხჭირი სოციალური პირობებიც ანახევრებენ ქართლელი გლეხის და მემამულის ნაშრომს. სახელმწიფო გადასახადები უწესოდ და უმართებულოდ არის განაწილებული. მიწის გამიჯვნა ალაგ-ალაგ დაუმთავრებელია, საკუთრების საკითხი მოუწესრიგებელია ხეირიანად არავინ იცის ვის რა ეკუთვნის. დამოუკიდებელ საქართველოში ამ მხრივ, როგორც სჩანს, მეტი წესრიგი ყოფილა. რუსის ადმინისტრაციამ და რუსის კანონმა ჩვეულებრივი არევდარევა შეიტანა მიწათმფლობელობის საკითხში, მიტომ რომ უყურადღებოდ დასტოვა ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებიცა და ადგილობრივი კანონიც. მუდმივი დავა, მუდმივ სასამართლოში სირბილი ჩვეულებრივი ბედია ქართველი მესაკუთრისა. ასეთ პირობებში შეუძლებელია ინტენსიური, რაციონალი მეურნეობა. ამას ხელს უშლის საკუთრების დანაწილება და გაბნევაც. ერთი და იმავე გლეხის მამული ხშირად რამოდენიმე უბანში, ერთი და იმავე თავადის მამული რამოდენიმე სოფელშია გაბნეული. გერმანიაში ასეთი პარტელატიის წინააღმდეგ ბოლო დროს საგანგებო კანონები გამოიცა: თუ განსაზღვრული რაიონის მესაკუთრეები უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა, ხდება მიწაწყლის ხელახალი გადამიჯვნა ისე, რომ თვითეულ მესაკუთრეს გაერთიანებული მამული ეზომება დანაწილებულის მაგივრად. ამგვარმა გადამიჯვნამ დიდათ კეთილის მყოფელი შედეგები გამოიწვია გერმანიაში და თუ არ ვსცდებით რუსის მთავრობაც ფიქრობს ანალოგიური კანონის გამოცემას. ასეთ კანონს ყველაზე მეტი სიხარულით ქართველი ხალხი უნდა შეხვდეს, მიტომ რომ ყველაზე მეტად ის იტანჯება მიწის უზომო პარტელატიით.

ათასგვარი ხელშემშლელი მოვლენის მიუხედავად ქართლის სოფელს მაინც დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ [illegible] ნებითა და სიყვარულით ეპყრობა თავის სოფლის მამულს. ეს გარემოება გვაფიქრებს, რომ ქართლის მომავალი უზრუნველყოფილია.

გერონტი ქიქოძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელი დეპეშები რუმინეთის შესახებ არავითარ ცნობას არ იძლევიან. ასე, რომ ჩვენ არ ვიცით დაიწყო მოქმედება ახალ ბრძოლის ასპარეზზე თუ არა. ეს კია ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდება და ძალიან მალე უთოოდ მოწმები გავხდებით დიდ ოპერაციისა, რომელიც დაიწყება ბალკანეთში. გუშინდელ ჩვენ მორიგ წერილში, რუმინეთის გამოსვლას მხოლოდ პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა მივეცით. რაიმე აქტიურ მნიშვნელობას ბრძოლის ველისათვის ჩვენ რუმინეთს არ ვაკუთნებდით, რადგან ვინ არ იცის, რომ დღეს საერთოდ ბრძოლის ასპარეზზე როგორც გამარჯვება, ისევე ფართედ ინიციატივა რუსეთის მხედრობას ეკუთვნის. შეუძლებელია რაიმე მთავარი მნიშვნელობა დავაკისროთ რუმინეთს იმ დროს, როდესაც ავსტრიის გადალახვა და შესუსტება რუსეთის მხრივ კარგა ხანია რაც დაიწყო. გარდა ამისა თვით რუმინეთის გამოსვლა ძალიან დაგვიანებულია.

მთავარ ოპერაციის წარმოება ამ მოკლე ხანში რუსეთის მხრივ ძნელი მოსალოდნელია, ვინაიდან საჭიროა იმ ბრძოლების შემდეგ, რომელიც მას ჰქონდა ამ ზაფხულს, შესვენება, მასალის დამზადება. ეს კი მოითხოვს დროს. მარტო რუმინეთი კი ვერაფერს ვერ გახდება, რადგან თვით ბრძოლის მოხაზულება საზღვრების მიხედვით მისი ხელსაყრელი არ არის.

აღმოსავლეთ ასპარეზზე გერმანელები მოქმედებას უფრო აძლიერებენ.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსები ოსმალებს ფეხ და ფეხ მისდევენ.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი**, 16 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მდინარე ტობოლი, გელენინის მიდამოებში სტოხოდზე მოწინააღმდეგემ ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა, მაგრამ მოგერიებულ იქმნა. ერთის დღის განმავლობაში ამ მიდამოებში მოწინააღმდეგემ 2000-ზე მეტი შხამბოლიანი ყუმბარა ისროლა. ჩრდილო აღმოსავლეთით სმოლერიდან მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარის ნაწილი, რომელიც კუნძულებზე მოქმედებდა, უშედეგოდ მოიგერია.

**პეტროგრადი**, 16 მარიამობისთვე. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან. დასავლეთ კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტი.** კიგიდან დასავლეთ ვანის ტბამდე მოწინააღმდეგეს გამაგრებული ადგილი წავართვით და ჩვენმა ჯარმა ოგნოტას მიაღწია, სადაც ტყვედ შევიპყარით 283 მეომარი. ოგნეტიდან დასავლეთით ოსმალების იერიში დიდი ზარალით მოვიგერიეთ. ფრონტის წინ 400 მოკლული დარჩა. მუშის მიდამოებიდან დასავლეთით ეფრატის ნაპირებზე რამდენიმე ათეული ტყვედ შევიპყარით, ნიმრუდ-გელის ტბიდან სამხრეთით მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ, ხუთი ოფიცერი და 186 მეომარი ტყვედ შევიპყარით.

**ლონდონი**, 15 მარიამობისთვე. ინგლისის მთავარსარდლის ოფიციალი ცნობა. ჩვენმა შორსმსროლელმა ზარბაზნებმა დაუშინეს ბაპის და მირიმონის შუა მიმავალ მოწინააღმდეგეს. მოწინააღმდეგე არტილერია დროგამოშვებით ესროდა პოზიერის და ტიეპვალის შუა ადგილს. დანარჩენ ფრონტზე ჩვენი არტილერიის და თხრილის მორტირების მოქმედებაა. 13 მარიამობისთვეს ჩვენს ჰაეროპლანებს მოუსწრო სასტიკმა ქარიშხალმა, აღარ დაბრუნებულა ხუთი.

**ჰავრი**, ბელგეთის ოფიციალი ცნობა. ბრძოლის პირზე ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი**, 15 მარიამობ. ოფიციალი. მიუხედავად ცუდის ამინდისა ინგლისელებმა გაიწიეს დელვილის აღმოსავლეთით; კარგი შედეგი ჰქონდა ბუკეს ფერმის მიდამოებში შეტაკებას; მტერი ხშირად ესროდა ზარბაზნებს დელვილს და პოზიერის ჩრდილოეთის მიდამოს; ჩვენც ვუპასუხებდით.

**ბუქარესტი**, 15 მარიამობ. რუმინეთის მეფემ ფერდინანდმა გამოაცხადა სრული მობილიზაცია; ქალაქში დიდი სიხარულია.

**პარიზი**, 15 მარიამობ. ბალკანეთის ბრძოლის პირის ცნობა; სტრუმიდან ლომნიცამდის ზარბაზნის სროლაა; ცარას აღმოსავლეთით სერბიელები განაგრძობენ წინა დღეებში დაწყებულ შეტევას და შესამჩნევად წინ წაიწიეს, ვეტრენიკის და ბანიცის ოსტროვის გზაზე; მტერმა სამი მძლავრი იერიში მიიტანა სერბიელთა პოზიციებზე, მაგრამ მიუხედავად წინასწარ ზარბაზნების სროლისა, უკუგდებულ იქმნენ დიდის ზარალით; ამ ადგილას გრძელდება საარტილერიო ბრძოლა; ბულგარელებმა დაიჭირეს სხვა და სხვა დასახლებული ადგილი კავალას დასავლეთით წინააღმდეგ მტრის ცნობისა ვითომც სერბიელთ მარცხი მოსვლოდეს კიკურუზის მიდამოებში, სერბიელებმა თვითონ წაიწიეს წინ და მოწინააღმდეგეს ზიანიც მიაყენეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გორიცის ციხე

გორიცის ციხის უფროსი გენერალი რიდელი ავსტრიელებმა სამართალში მისცეს; იტალიელების იერიშის დროს იგი თურმე ქალაქს გარედ სეირნობდა.

### ჰუნგრეთი და რუმინეთი

ჰუნგრეთში დიდი პარტიული არევდარევაა; მიუხედავად ავსტრიის იმპერატორის შთაგონებისა, ჰუნგრელებმა არ დააკმაყოფილეს ტრანსილვანიის რუმინელების ეროვნული მოთხოვნილებანი, რითაც ძალაუნებურად ხელი შეუწყვეს რუმინეთის ომში ჩარევას.

### პეტროგრადის რუმინელები

რუმინეთის ელჩმა სთხოვა პეტროგრადის უფროსს იქ მცხოვრებ რუმინელთა სიის შედგენა, რათა დროზე ჯარში გაიწვიონ.

### ნავი „დოიჩლანდი“

წყალქვეშა „დოიჩლანდი“-ს ამერიკიდან დაბრუნების გამო მთელ გერმანეთში დღესასწაულობაა; ბერლინში და ბრემენში დროშებია გამოფენილი.

### კავალის დაპყრობა

ბულგარელები რომ კავალაში შევიდნენ ბერძნების ჯარმა მათ მთელი ციხე-სიმაგრე დაუზიანებლად ჩააბარეს; მცხოვრებნი გაიქცნენ.

### ზე ცეპელინები

ინგლისელები თან და თან უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ ცეპელინებიდან დაფარვის საქმეს; ლონდონში დიდი მიტინგი მოუწყვიათ, სადაც ლორდ მონტეგიუ-ოფ-ბოლიეს გაუფრთხილებია ხალხი, გერმანელები ახალ ზე-ცეპელინებს აშენებენ, 680 ადლი სიგრძით, საათში 65 მილს გადის, ყუმბარის ჩამოგდების შემდეგ შეუძლიან17 ათასი ადლის სიმაღლეზე აიწიოს; ერთი ასეთი ზე-ცეპელინი უკვე დაფრინავს ზღვაზე და მზვერავ კრეისერის მაგივრობას ეწევაო.

### დუნაის ნაპირებზე

რუმინელები საჩქაროდ პონტონებს (ნავების ხიდებს) აშენებენ დუნაიზე, დობრუჯის მიდამოებში.

### ინგლისელების სესხი.

ინგლისის ფინანსთა მინისტრს მაკკენას მოუხერხებია ამერიკაში 250 მილიონ მანათის სესხის შოვნა 5%-ით სესხი მოწყობილია ცნობილ ამერიკელ კაპიტალისტის მორგანის დახმარებით.

### ფლორინის დაპყრობა.

ფლორინის დაპყრობით ბულგარელებმა გზა გახსნეს გერმანეთ-საბერძნეთის შორის; უკვე აღდგენილია ტელეგრაფი.

### გერმანელთა ჯარის მოძრაობა.

ჰინდენბურგის განკარგულებით დაიწყო ჩრდილოეთიდან ჯარების გადმოყვანა სამხრეთისკენ, რუმინეთის საზღვრებზე.

### აზრუმი და მუშა.

პეტრ. „რეჩი“ სწერს: ოსმალებს სწადდათ მუშიდან აზრუმის აღმოსავლეთით მოვლა; ახლა ეს შიში უკვე აღარ არსებობსო.

### კოველთან.

მრავალრიცხოვანი და საუკეთესო გერმანელების ჯარი სდგას კოველის გზაზე; ტრანსილვანიის საზღვარს განსაკუთრებული არმია იცავს.

### კიუსტენჯი.

რუმინეთის პატარა ფლოტი სამხედრო სამზადისშია, იგი შავი ზღვის პირზე მდებარე კიუსტენჯში მოგროვილა.

### რუმინეთის ჯარი.

რუმინეთს სულ 22 დივიზია ჰყავს (სამი დივიზია კორპუსს შეადგენს); ჯარის კაცები შეიარაღებულია ავსტრიის ჯარში მიღებულ 5 პატრონიან მანლიხერის თოფით.

### რკინის ჯვრები.

ომის დაწყებიდან გერმანეთში დაურიგებიათ სულ 430,000 რკინის ჯვარი, აქედან 10,000 პირველი ხარისხის.

### ყიის და ერზინჯანი.

ყიის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება, ოსმალთა შემოტევის მიზანია ერზინჯანის მოჭრა.

### თალაათ-ბეი.

ამას წინად კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე ჩამოსული თალაათ-ბეი უკვე დაბრუნდა სტამბოლში. მან საგანგებო აუდიენცია მიიღო ხონთქართან.

## უკანასკნელი დეპეშები

**„რუს. სლოვოს“ ცნობით: გერმანელები იტყობინებიან, რომ ბულგარელებმა ახალი ჯარი დარაზმეს და სამხედრო მასალა გაადიდესო.**

—

**ფრანც იოსებს პროექტი შეუდგენია, სადაც ნათქვამია, რომ 16 წლიდან 60 წლამდე სამსახურში უნდა გაწვეულ იქმნენო.**

—

**„რუს. სლოვოს“ თეირანიდან ატყობინებენ: ოსმალები თავიანთ თავს ბატონად ჰგრძნობენ. ოსმალეთის საელჩომ ამცნო, რომ ოსმალეთის ჯარი წესიერად მოიქცევა და მტრად იმას ჩასთვლის, ვინც ლტოლვა-გაქცევას დააპირებსო. ეს ცნობა სომხებს შეეხებაო.**

—

**„რ. ს.“ ატყობინებენ: თეირანში არეულ-დარეულობაა. ამის მიზეზად სპარსეთის ყაზახებს და ჟანდარმების შორის შეცილებას ასახელებენ. სპარსელები ირწმუნებიან, ამ მოკლე ხანში რუსეთი და ინგლისი სპარსეთს ულტიმატუმს წარუდგენენ და მოსთხოვენ თავისი მოქმედების გეგმა გამოარკვიოსო. თუ სპარსეთი მოკავშირეებს არ მიემხრობა დიპლომატები სპარსეთიდან წავლენო.**

—

**ამბობენ, საბერძნეთში დიდი ამბები მოხდებაო. ხალხი ღელავს, მთავრობა და ჯარი ორ ბანაკად გაიყო.**

—

**რა დღესაც რუმინეთმა ავსტრიას ომი გამოუცხადა, გერმანეთის პრესა დამამშვიდებელ ხმას ავრცელებდა რუმინეთის შესახებ.**

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

## თავი III

**სახელმწიფო დაწესებულებათა ბოიკოტი და ლ. ნ. ტოლსტოის მიმართვა გურულებისადმი. 1905 წელი. პოლიტიკური პარტიები. პარტიული ბრძოლის იერი და ჩვენებური დასელები. ხალხური სამსჯავრო და სასოფლო კომისიები.**

როგორც წინა თავში მოვიხსენიეთ, ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებულ მოძრაობას გურიაში ბოლოს და ბოლოს პოლიტიკური ბრძოლის იერი მიეცა. ამ შეგნებამდე მიღწევას წინ უძღოდა დიდი აგიტაცია, რომელიც უმთავრესად მიზნად ისახავდა პოლიტიკურ წყობის შეცვლას, ეკონომიურ ნიადაგზე მომხდარი გაფიცვები და თავადაზნაურობა-სამღვდელოების რეაქციონურ ელემენტად გამოცხადება ხელს უწყობდა ამ მთავარ საქმის საკეთილოდ წარმართვას. გურიის გლეხკაცობის გულისყური სავსებით შეჰბოჭეს პოლიტიკურ განახლების იდეის მქადაგებლებმა. მანამ ხელ-ფეხ შებორკილი და „მოსე მწერლების“ საწველ ფურად გამხდარი, ის უმთავრესად სასოფლო სამმართველოებისკენ იშვერს ხელს, იქ ეძებს მრავალი წლობით დაგუბებულ უკმაყოფილების და შეურაცყოფის ფიალისათვის გადმოსადენ ადგილს. კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს გურიაში საყოველთაოდ თუ არა, რამდენიმე ადგილას ცხოვრებაში უკვე გატარებული იყო ბოიკოტი სასოფლო მმართველობისა. ხალხი თავისი სურვილით ჩამოეთხოვა სოფლის კანცელარიებს და დამოუკიდებლად განაგებდა შინაურ საქმეებს. „მოსე მწერლები“ უსაქმოდ დარჩნენ. მომრიგებელი შუამავლები და ბოქაულებიც ჩამოეთხოვნენ სოფლებს, რადგან სოფლიდან დაწყებული ტალღა ბოიკოტისა სამაზრო დაწესებულებებსაც სწვდა და იქაც მრავალი ჩინ-მენდლოსანი და კაკარდიანი მოხელე საქმეების უქონლობის გამო დროს უქმად ატარებდა. ეს ბრძოლა, ან უკეთ რომა ვსთქვათ, ბოიკოტი სახელმწიფო დაწესებულებათა მიმდინარეობდა მშვიდად, წყნარად, ასე რომ უფრო გულუბრყვილო (და ასეთები კი დიდი უმრავლესობას შეადგენდნენ) გლეხებს სწამდათ, რომ დაწყებული მოძრაობა თავისი ხასიათით ქრისტიანული იდეებისათვის ბრძოლის განგრძობააო. განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავდნენ, რომ ერთი არის ბრძოლა საიქიო ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე ლამობს სააქაო ნეტარების აქ, ცოდვილ მიწაზე დამყარებასო. დღესაც ასე სწამს გურულ გლეხს და აბა რა გასაკვირველია, რომ მშვიდობიანად ბრძოლის წარმოება ყველას ჰხიბლავდა და ათასობით ემხრობოდნენ სააქაო სასუფევლის დამკვიდრებისათვის დაწყებულ მოძრაობას. შესაძლოა სადმე იელვებდა დაუდგრომელ რუსის რევოლიუციონერთა ტრადიციებით გაჟღენთილ ტერორისტის ბასრი მახვილი, იმ წუთშივე გურული გლეხი მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ ეს რევოლიუციონერების საქმეა, კაცის კვლას მხოლოდ ისინი ჰქადაგებენო. რამდენად დიდი იყო ასეთი რწმენა იქიდანაც სჩანს, რომ გულუბრყვილოთა ასეთი შეხედულება სავსებით გაიზიარა ქართველი ინტელიგენციის, ალბად, მცირე გუნდმა და თავის მხრით დაარწმუნა ლ. ნ. ტოლსტოი საქართველოს ერთ კუთხეში მშვიდობიანად დაწყებულ სარევოლიუციო ბრძოლის წარმოებაში. აღფეთქდა გული ჭაღარა მწერლისა. მის მიერ ქადაგებულ იდეალების განხორციელებას სადღაც შავი ზღვის განაპირა უჩინარ კუთხეში თავისი შეუმცნობელი და კრიტიკულ ალღოს გარეშე წარმოებულ ბრძოლით ხელს უწყობდა გურიის გლეხკაცობა. მან დასწერა ცნობილი მოწოდება—მიმართვა გურულებისადმი, რომელშიაც მხცოვანი ბრძენი მწერალი სალამს უძღვნიდა გურულებს განსაკუთრებით ბრძოლის მშვიდობიანად უექსცესოდ წარმოებისათვის. ეს მიმართვა, სამწუხაროდ, ქართულად ნათარგმნი ნაკლებად შევხვედრია და ეს, ალბად, იმას უნდა მიეწეროს, რომ დასელები უფრთხოდნენ ხალხში „მავნე აზრების“ გავრცელებას. ფაქტი კი ფაქტად რჩება. ქართველი ხალხის ერთმა უჩინარმა კუთხემ შესძლო დაეინტერესებია მსოფლიო გენიოსი ლ. ტოლსტოი და უკანასკნელმაც თავისი აღფრთოვანება გამოსთქვა ცნობილ ისტორიულ მოწოდებაში. გვახსოვს და მერმისაც არ დაგვავიწყდება ცნობილი წერილი ლ. ტოლსტოისა: „ვერ გავჩუმდები“. საგულისხმოა და თან სამწუხარო, რომ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მოწოდება გურულებისადმი მაშინდელ პრესაში აღუნიშვნელი დარჩა, ხოლო საკითხავია—შევიდა თუ არა ეს მიწოდება ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ გამოცემულ ნაწერებში!..

მოძრაობის შემდეგმა მსვლელობამ გამოაშკარავა გულუბრყვილობა დიდებული მოხუცის აღფრთოვანებისა. ქვეყანა მარტო სათნოების ქადაგებით ვერ შესძლებს მშვიდობიანობის დამყარებას, ცხოვრებაში ცნობილია სხვა და სხვა კატასტროფა; ერთმანეთს ებრძვიან არა თუ წოდებები, რომელთა მდგომარეობა წყნარი, მშვიდობისანი უდარდელობით არასოდეს არ ყოფილა ცნობილი, არამედ ვეება სახელმწიფონიც, რომელნიც მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად თითქოს ათასგვარ კონვენციებითა და ტრაკტატებით ეკვრიან ერთმანეთს. საქართველოში დაწყებული მოძრაობაც ცხოვრების ამ კანონის გამოძახილი იყო, თუმცა პირველად გურიის მოძრაობას მეტად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. უნდა აღვიაროთ, რომ ეს ბრძოლა კვლავაც არ დაჰკარგავდა ერთხელვე მიღებულ ხასიათს თუ რომ არა გაბოროტება ქვეყნის მართველთა, რომელნიც საშოშივე ჰლამობდნენ ჩაკვლას ყოველგვარ საერო მოძრაობისას. გურიის მმართველთა რიცხვიდან ბევრნი გამოირჩეოდნენ თავისი სისასტიკითა და ულმობელობით და ამავე დროს ოდნავ არ იცნობდნენ გარემო ცხოვრების პირობებს და ბუნებას იმ ხალხისას, რომლის ბატონპატრონად იყვნენ უმაღლესად მოვლინებულნი. საგულისხმოა, რომ ასეთ მმართველთა რიცხვში საპატიო ადგილი ეჭირათ თვით ქართველ მოხელეებსაც. გენ. სმაგინის როზგი და კაპიტან ჯ—ძის მათრახი გურულებს დღესაც კარგად ახსოვთ. ქვეყნის ჭირ-ვარამის გაუგებლობით და უცოდინარობით გაქინიანებული მოხელეები ზერელედ ცირკულიარების ფორმალურ მოსაზრებათა კარნახით მართავდნენ ქვეყანას. მეორე მხრით „მუშათა კომიტეტები“, ბრძოლის ევროპიული მეთოდით შეიარაღებულნი, ჯიბრში ედგნენ მოხელეთა თვითულ ნაბიჯს და ყოველგვარ მათ განკარგულებას ხალხის კეთილდღეობის თვალსაზრისით ზომავდნენ. ხალხი გადაუდგა მართველობას, რა წამს შეატყო, რომ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება მარტონი არ იყვნენ და მათ წოდებრივ მიდრეკილებათ და საერთო პოლიტიკურ კურსს, ზურგს უმაგრებდნენ ადგილობრივ სამაზრო თუ სასოფლო მართველობის მოხელეებიც. უკანასკნელთა ჩარევა ქვეყნის მშვიდობიან ეკონომიურ ბრძოლაში იერს უცვლის გურიის აგრარულ გაფიცვას. პოლიტიკური ბრძოლის ლოზუნგები უდიდეს ყურადღებას იპყრობს, ასე რომ აგრარული გაფიცვა გართულდა და აქა-იქ საერთო სახელმწიფოებრივ ხასიათის მოთხოვნილებებს არდგენენ. ამ დღიდან გურულთა მოძრაობამ დაჰკარგა მშვიდობიანი ხასიათი და ის მრისხანე ტალღად იქცა. ტოლსტოის ოცნებას ფრთები შეეკვეცა, თუმცა გურული გლეხი ისევ ქრისტიანულის თვალსაზრისით უცქერის უკეთეს მერმისისათვის ბრძოლას.

დ. არონიშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 174.

# ახალი ამბავი

**ჯარში გასაწვევნი.** პირველ და მეორე ხარისხის ჯარში გაწვეულნი ორ ჯგუფად უნდა გამოცხადდნენ სამხედრო უფროსთან. პირველი ჯგუფის ჯარში გაწვეულნი უნდა გამოცხადდნენ 28—30 მარიამობისთვემდის, ხოლო მეორისა 7—10 ენკენისთვეს. პირველ ჯგუფში შედიან 1902—1898 წლებისა, ხოლო მეორე ჯგუფში მეორე ხარისხიანნი 1916—1910 წლებისა. ყველა ამ პირთ თან უნდა ჰქონდეთ მოწმობანი (ратническое свидѣтельство) თუ ვისმე დაკარგული აქვს ეხლავე უნდა მიმართოს თბ. სამხედრო ბეგრის საკრებულოს, რომ მიიღოს ასლი ამ მოწმობისა.

**პროფ. ცაგარელი,** რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება, გუშინ ინახულა ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ეპისკოპოსმა გორისამ და დიდხანს ჰქონდათ ბაასი საქართველოს ეკლესიის საკითხებზე.

**საქონლის რეკვიზიცია.** სამხედრო უფროსის განკარგულებით 17, მარიამობისთვეს დანიშნული იყო რეკვიზიცია სანოვაგისა და შეშისა, რომელიც რკინის გზით იყო მიღებული და პატრონები არ გამოცხადდნენ გამოსახსნელად. სულ სადგურზე 300 ვაგონი საქონელი იყო დაუხსნელი, მათ შორის 17 ვაგონი ფქვილი და 11 ვაგონი შაქარი. თანახმად ამ განკარგულებისა გუშინ ზოგიერთი პატრონები გამოცხადდნენ და დაიხსნეს საქონელი.

**თბილისში იმყოფება** ამ ჟამად საევაკუაციო და სასანიტარო უფროსის პრინც ოლდენბურგელის რწმუნებული თ-დი მ. ი. ორბელიანი.

**ხოლერა.** 17 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში № 40-ში ირიცხებოდა ხოლერიანი 40 სული. ხოლო საეჭვო 7. სამხედრო ჰოსპიტალში ირიცხებოდა 6 კაცი, ამ რიცხვში 1 გარდაიცვალა.

**ხაქველმოქმედო საზ—ში.** დღეს სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისა.

**ქალაქის სისუფთავის მოწესრიგება.** სასანიტარო-სამკურნალო კომისიის სხდომა 16 მარიამობისთვეს შესდგა. კრებას დაესწრო პრინც ოლდენბურგის რწმუნებული გენ.-ლ. თ-დი გ. ი. ორბელიანი. კრებამ დაადგინა, პირველ ენკენისთვეს უსათუოდ მოწესრიგებულ უნდა იქმნეს ქალაქი სისუფთავის მხრივ. ხევების, მტკვრის-პირების, ნაგვის საყრელ ადგილების გასუფთავება უნდა მოხდეს ქალაქის ხარჯით, ხოლო სახლების, ეზოების და ქუჩების გასუფთავება სახლის პატრონების ხარჯით. ზედამხედველობა დაეკისრა პოლიციას და სასანიტარო მზრუნველთა ინსტიტუტს. დასასრულ, კომისია დაიყო ოთხ სექციათ, თვითეული მათგანი განსაკუთრებულ უბანს ჩაიბარებს და თვის შთაბეჭდილებას წარუდგენს კომისიას.

**შემოტანილი საქონელი.** თბილისის სადგურზე შემოიტანეს: ფქვილი 11 ვაგონი, შაქარი 2 ვაგონი, ხილი 1 ვაგონი, ნავთი 13 ვაგონი, ბენზინი 1 ვაგონი, მაშანის ზეთი 1 ვაგონი, ღვინო 19 ვაგონი, კართოფილი 469½ ფუთი, კვერცხი 58 ფუთი.

**მასწავლებელთა კურსები.** სასოფლო საიეურნეო კურსებზე რომელიც ბორჯომში გაიმართა სულ 53 მასწავლებელია მსმენელი. კურსები 25 მარიამობისთვემდე გასტანს.

**დამატებითი მატარებელი.** ვინაიდან „ბორჯომ-ბაკურიანიდან დიდძალი მოაგარაკე ხალხი ბრუნდება თბილისში, დაინიშნა შემდეგი დამატებითი მატარებელი: ბორჯომიდან ეს მატარებელი გამოდის ნაშუადღევის 1 საათზე, თბილისში მოდის 6 ს. 33 წ. საღამოთი. თბილისიდან გადის ღამის 12 საათზე, ბორჯომში მიდის დილის 6 ს. 33 წ.

**ბრძოლის ველიდან ჩამოიყვანეს** დაჭრილ-დაავადებულნ მხედარნი: პოდპორუჩიკი ა. ა. გეგელიშვილი და ა. დ. დიდებულიძე, აგრეთვე ექიმი ი. ი. ჰეიშვილი.

**ხარფუხის კლუბში.** ხვალ, 19 მარიამობისთვეს, ხარფუხის კლუბში, ტასო აბაშიძისა და ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „უშტვინიძე“ პიესა ვალ. გუნიასი და ზარჟი „სოფლის ფერშალი“.

**ახალ კლუბში.** ამ დღეებში კლუბის სათეატრო დარბაზის დახატვას შეუდგებიან. მუშაობა მიანდეს დეკორატორებს ბროუჩეკსა და ნალებიანცს. იხატება ახალი დეკორაციები ზამთრის თეატრისთვის. ანახლებენ ძველ დამწვარ თეატრის ფარდას. ზამთრისათვის მოწვეულია ორკესტრი მ. ა. ვოლფ იზრაელის დირიჟორობით.

**სასანიტარო კომისიაში.** 16 მარიამობისთვეს ქალაქის ქიმიკოსმა მუნბლანმა დაათვალიერა ქალაქის საკანდიტროები, თევზის და ხილეულობის დუქნები მიხეილის, ვორონცოვის, მუხრანის, რაზიეჟი ქუჩაზე და მრავალ ადგილას აღმოაჩინა ძველი და უვარგისი სანოვაგე, რომელიც დასწვეს, ხოლო პატრონებს ოქმები შეუდგინეს.

**ქალაქთა კავშირში.** საგანგებო რწმუნებულმა სარიკამიშის ოლქისა ექიმ მარქარიანმა ქალაქთა კავშირის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამ ოლქში მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ. უდიდესი ჯამაგირის რაოდენობა 600 მანეთს უდრის, უმცირესი 150 მანეთს, ექიმის გამონაკლისით... გარიშებით.

### მოსკოვი.

**ე. სარაჯიშვილის პანაშვიდი.** ეკატერინე სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს, მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას პანაშვიდი გადუხდია; განსვენებული მოსკოვის ქართველთა საზოგადოების საპატიო წევრი იყო და კიდეც უანდერძა მას 10,000 მანათი. პანაშვიდს დასწრებია საზოგადოების გამგეობის წევრნი თვისი თავმჯდომარის თანაშემწით, ექიმ მიხეილ ზანდუკელთან ერთად, აგრეთვე საზოგადოების წევრნი და მოსწავლე ახალგაზდობა. გამგეობის წევრს პოლკოვნიკს გერასიმე ქავთარაძეს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც დაუხასიათებია განსვენებული, როგორც მოყვასისთვის თავდადებული ადამიანი.

### ჭიათურა.

მომხ. საზ. **„ჩვენმა ოჯახმა“** მიიღო და დაურიგა თავის წევრებს სიმინდი, თითეულს სამ-სამი ფუთი, ვინაიდან ოთხი ვაგონი მიიღო და მეტი არ ერგო წევრთ. სიმინდთან ერთად მიიღო ორი ვაგონი ფხვნილი შაქარი. ეს მესამე თვეა რაც შაქრის ღირსად არ სცნეს ადგილობრივმა ჩარჩებმა ჭიათურის მცხოვრებნი, მაგრამ მათდა საუბედუროდ და სასირცხოდ „ჩვენი ოჯახის“ გამგეობის ენერგიულ მუშაობით, ისიც ხანმოკლე და ათასი დამაბრკოლებელი მიზეზების გადალახვით გამოიწერეს შაქარი არამც თუ ჭიათურის სამყოფი—მთელი მის მიდამოებისაც. შაქარი იყიდება როგორც წევრზე ისე არა წევრზე. ხალხი თან და თან ეწერება წევრად და მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ახლო მომავალში გაიხსნება სახაიე. საჭიროა და პირდაპირ ყველა წევრის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს „ჩვენი ოჯახის“ წარმატება-გაფართოება.

### ხონი.

— კვირას 7 აგვისტოს მოხდა მომხმარებელ საზოგადოების „იმედი“-ს წლიური კრება. მოხსენება წაიკითხა გამგეობის წარმომადგენელმა მათე ბახტაძემ და სარევიზიო კომისიის წარმომადგენელმა კ. ქაცარავამ. 9 თვის განმავლობაში კოოპერატივ „იმედს“ წაუგია 1,555 მან. და 7 კაპ. შემდეგ მოხდა არჩევნები ფარული კენჭის ყრით. გამგეობაში გავიდნენ: კოწია ირემაძე, იაკობ ქუთათელაძე და ივანე ჭავჭანიძე. ამაზე უფრო ვრცლად შევეხები შემდეგ.

— ხუთშაბათს 11 მარიამ., გაიმართა ნემოს ბენეფისი. წარმოადგინეს „კაცობრიობის კეთილის მყოფელნი“ და „მათიკო“.

# მოგელი!.. მოდი!!..

(ამონაკვნესი)

ა. მ ... ნს.

მქონდა სალარო ცალიერი, ხელუხლებელი,
შემოზღუდული რკინის ზღუდით, გადარაზული;
დარაჯად ვედექ და შიგ ულირსს არვის ვუშვებდი.
ვეძებდი შენს სულს ნაზსს და ლამაზს, მეზნებარე შენს გულს.

აი, გიპოვნე! შენის გრძნობის მსუბუქი ფრთები
შემოჰკარ კარებს გადარაზულს, გადაჯაჭვულსა,
გულმა მყის გრძემლი მოიქნია, გასტეხა კარი
და შიგ შეიჭრა შენი სული, შენი ხატება.

და შენი გული დაეჯახა ჩემს მძინარე გულს,
გამოაღვიძა სასიცოცხლოთ, ფრთები შეასხა,
თვის ნაზი ძგერა მისსა ძგერას შეუხმატკბილა,
ზედ გადაეჭდო, ჩაეხლართა, გადაეწასკვა.

რაკი შენ მყავდი სალაროში, ჩემო ფრთხიალა,
სულ განაბული ყურს ვუგდებდი შენს ტკბილსა ღუღუნს,
ორ გულთა სიმნი ანაჟღერნი ჩვენის გრძნობებით
იმედს მაძლევდა მომავალის განთიადისას...

და სწორედ ამ დროს... დაიწყევლოს ის დრო საზარი!!
ბრბომ, ხალხმა მხეცმა, უგრძნობელმა და სულმდაბალმა
ხელი დასტაცა...ტლანქი ხელი შენს ნაზსა სხეულს
და გაგიტაცა!.. არ ვიცი—სად? ვისთან ხარ ეხლა?

ხალხსა ჰგონია ბრმას და უვიცს, რომ შენი სული
და შენი გულიც გამომტაცა შენთან ერთადა?!
არა, ბრბო სცდება! შენი სული სალაროში მყავს.
კარჩაკეტილი... იგი კვნესის...

მოგელის!.. მოდი!!.

და შენი გულიც ჩემს გულსა ჰყავს გულში ჩაკრული,
იგი გაცივდა და შეუწყდა სიცოცხლის ძგერა.
მას ჩემი გული ანუგეშებს, ათბობს და ჰკოცნის
და შენ გეძახის, შენთვის კვნესის...

მოგელი!.. მოდი!!

ვის რად უნდიხარ უსულგულო, გამოფიტული,
მხოლოდ სხეული გარეგნულის მშვენიერებით?!
იქნება გითხრან: „ყოველისფრით შემკული ხარო“...
არ დაუჯერო, გატყუებენ!..

მოგელი!.. მოდი!!.

შენს სულს მკვნესარეს ჩემმა სულმა ცრემლი ასესხა
და ისიც ეხლა გულზე მაფრქვევს ამ მდუღარებას...
გული მეხრჩვება,—მეშინია შენიც წალეკოს!..
მო! მომეშველე, გენაცვალე!..

მოგელი!.. მოდი!!.

ხედავ ამ სისხლსა, დანაწვეთებს ამა ბარათზე?
ცრემლი აღარ მაქვს და სისხლს ვაფრქვევ შენთვის მტირალი.
მინდა ამ სისხლმა გზა გიჩვენოს ჩემკენ სავალი...
ნუ გეშინია, გამოჰყე მას!..

მოგელი!.. მოდი!!

დავდნი, აღარ ვარ... მხოლოდ ლანდი, აჩრდილი-ღა ვარ...
შენს მოლოდინში გული მოკვდა, გაწყალდნენ თვალნი!
ნულარ აყოვნებ, თორემ მხოლოდ საფლავში მნახავ!!
სანამ ცოცხალვარ, მომეშველე!..

მოგელი!.. მოდი!!..

ვალ. შალიკაშვილი.

# ტრანსილვანია

როგორც ვიცით, რუმინეთმა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ეჭვი არაა,

რუმინეთს ტრანსილვანიაზე უჭირავს თვალი და იმედი აქვს თავის იარაღის ძლიერების წყალობით იგი დაიპყროს და თავის საზღვრებში მოაქციოს. ტრანსილვანია დიდი ხანია რაც რუმინეთის ნატვრის თვალს შეადგენს, რადგან იქ დღეს მილიონზე მეტი რუმინი სცხოვრობს და დევნა-შევიწროებას განიცდის ავსტრია-უნგრეთის მონარქიისაგან. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ, თუ რა არის ტრანსილვანია და რანაირი იყო მისი ისტორიული ბედი.

**ტრანსილვანია** დღეს პოლიტიკურ-ადმინისტრატიულად ჰუნგრეთთან არის შეერთებული. უჭირავს 55,731 კვ. ვერსი. მისი საზღვრებია: თვით **ჰუნგრეთი,** დასავლეთისა და ჩრდილოს მხრივ; **ბუკოვინა** და **რუმინეთი** აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრივ.

**ზედაპირი** მთაგორიანია უმთავრესად და ეკუთვნის კარპატის მთების სისტემას. მიუხედავათ მთაგორიანობისა, ადგილი ნაყოფიერია. სახნავ-სათესს უჭირავს მთელი სივრცის 22,6 %, სავენახეს—0,5 %, ტყეს—37,3 % და მხოლოდ 13 % უნაყოფო ადგილს შეიცავს. **მცხოვრებნი:** (1890 წ. აღწ.) 2.251,216 სულია. ამათში უმთავრესია სამი ეროვნება: რუმინელები 1.276,890 15 %), უნგრელები (მადიარები) 697,645 (3 %) და გერმანელები—217,670. დანარჩენი პროცენტი ნაწილდება ებრაელებსა, სომხებსა, ჩეხებსა, ბულგარებსა და სხვათა შორის.

რუმინელები ერთად სცხოვრობენ ჯგუფად, უმთავრესად ტრანსილვანიის დასავლეთისა და სამხრეთის ნაწილში, ისე კი თხლად, დაქსაქსულად ისინი მთელს ტრანსილვანიაში არიან გაფანტული. მადიარები სცხოვრობენ აღმოსავლეთის ნაწილში. აქ მცხოვრები გერმანელები უმთავრესად საქსონიიდან არიან მოსულები.

სარწმუნოების მიხედვით: 30,87 % —მართლმადიდებელი, 28,14 % ბერძნულ კათოლიკურისა, 14,57 % რეფორმატული, 12,61 % რომაულ-კათოლიკური, ნუნიატური 2,6 %.

ტრანსილვანიაში აუარებელი მინერალური სიმდიდრეა; ევროპის ქვეყნებ შორის ტრანსილვანიას პირველი ადგილი უჭირავს ოქროს შოვნის მხრივ. აღმოაქვთ აგრეთვე ვერცხლი, სპილენძი, ვერცხლის წყალი, რკინა, ტყვია, გოგირდი, თაგვ-შაქარა, შაბიამანი, შაბი, მარმარილო, ცარცი, გრაფიტი, ფაიფურის თიხა და სხვა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი თვლები, ტორფი, ქვანახშირი და სხვა. ბევრია ქვა-მარილიც. მრეწველობა ახლად ფეხადგმულია. უმთავრესად აკეთებენ, ლუდს, სპირტს, შაქარს, მინას, სანთელს, ქაღალდს, ტყავს და თიხის ჭურჭელს.

### ისტორია.

ძველ ტრანსილვანიას ჰულობდენ რომაელები. ტრაიანმა რომს დაუმორჩილა იგი 107 წ. ქრ. შ. რომაელებმა დასტოვეს 274 წლიდან და ტრ. ხალხთა გადასვლ-გადმოსვლის მოედნად გადაიქცა. პეჩენგები, ოსტგოტები და გეპიდები აქ რიგ-რიგად ბატონობენ. ამათ გზას ულობავდენ მადიარები, რომელთაც შემდეგ თითონ იწყეს ტრ—ში გადმოსვლა ნელ-ნელა და მე-11 საუკ ეს ქვეყანა უკვე მადიარებმა (უნგრელებმა) დაიუფლეს. ამ დროიდან უნგრები იყვნენ ქვეყნის მბრძანებელნი. ამავე დროს აქ დარჩენილ რუმინელებს—ვალახებს—სამხრეთიდან თანამემამულეთა ახალ-ახალი წყება მიემატა, ასე რომ მე-12 და მე-13 საუკ. რუმინელები აქ გაძლიერდნენ. მე-12 საუკ. უნგრელთა მეფემ გეიზემ გერმანელები მოიხმო ქვემო და საშუალო რეინიდან და ტრ—ში ჩაასახლა. ეს გერმანელები თავიანთ საკუთარ სჯულდებას ემორჩილებოდნენ. ამათ ბევრი ქალაქი გააშენეს. 1240 წ. ტრ—ში მონღოლები შემოიჭრნენ.

1421—1433 თურქები პირველად გაჩნდენ ამ ქვეყანაში.

1526 წ. ლიუდვიგ II სიკვდილის შემდეგ, უნგრეთის გვირგვინი რომის და გერმანიის იმპერატორ ფერდინანდ I-ს ერგო. მის მოქიშპედ გამოვიდა ტრანსილვანიის თავადი ზაპოლიე, მოიშველია სულთანი სულეიმანი და 1529 წ. დაიპყრო მთელი ტრანსილვანია და უნგრეთის მეტი ნაწილი. ამგვარად ტრანსილვანია ჩამოშორდა ჰუნგრეთს. ტრანსილვანია თვის საკუთარის ძალით და სეიმით მიუძღოდა თვის საქმეებს 1690 წ. ამ ხნის განმავლობაში თურქები არა ერთხელ ჩარეულან ტრანსილვანიის საქმეებში და დამკვიდრებული მმართველების წინააღმდეგ თავიანთი ფავორიტები აურჩევიათ. უკანასკნელი მმართველი იყო აპაფი, თურქებისაგან დაყენებული. რადგანაც თურქები ვენასთან დამარცხდენ, აპაფი იძულებული გახდა ორი ხელშეკრულობა დაედვა, ერთი გალერისა 1686 წ. და მეორე ბლაზენდორფისა 1687 წელს. ამ ხელშეკრულობათა ძალით ტრანსილვანიის სეიმმა აღიარა უზენაესი ხელმწიფება უნგრეთის მეფისა და რომის იმპერატორისა.

1691 წ. აპაფის სიკვდილის შემდეგ ავსტრიის იმპერატორმა ლეოპოლდმა შეადგინა ე. წ. ლეოპოლდის დიპლომი, ძირითადი ხელშეკრულობა ავსტრიასა და ტრანსილვანიას შორის, რომლის ძალით ტრანსილვანიას ეძლეოდა კონსტიტუციური თავისუფლება და სხვა მისი წინანდელი უფლება პოლიტიკურსა და რელიგიურ საკითხებში. სულთანმა ლეოპოლდი I აღიარა ტრ. მფლობელად. ლეოპოლდს აუჯანყდენ ადგილობრივი თავადები, მათ შორის უნგრეთის არისტოკრატიის ერთი ნაწილი, აჯანყება ჩააქრეს 1711 წ. და ზატმარის ზავით ტრანსილვანია ავსტრიას დარჩა. ოსმალეთი კიდევ შეეცადა ტრანსილვანიის დაპყრობას, მაგრამ ვერრას გახდა და პასაროვიცის ზავით (21 მკათათვე 1718 წ.) მან საბოლოოდ იცნო ავსტრიის ხელმწიფება ტრანსილვანიაზედ.

ხოლო დედოფალმა მარია-ტერეზიამ ტრანსილვანია **დიდ სამთავროს** ხარისხამდე აიყვანა 1765 წელს. შემდეგ და შემდეგ ხშირად ილახებოდა კონსტიტუციური უფლება ტრანსილვანიაში ავსტრიის მიერ. უცბად 1835 წელს, სეიმი დათხოვნილ იქმნა, მაგრამ შემდეგმა სეიმებმა (1841—42 და 1846—67 წლ.) კვლავ ნდობა და სახელი მოიხვეჭეს და თავიანთ უფლებებს ჯეროვანად იცავდენ. მაგრამ შინაური განხეთქილება და აყალმაყალი შეუძლებელს ჰხდიდა ტრანსილვანიის სიმტკიცეს. უნგრელი არისტოკრატია შეიპყრო უნგრეთისთვის ტრანსილვანიის შემოერთების იდეამ. ამას წინააღუდგენ განსაკუთრებით რუმინელები. ეპისკოპოს საგუნის მოწოდებით თავი მოიყარა 30—40 ათასმა რუმინელმა და გადასწყვიტეს დეპუტაციის საშუალებით ეთხოვათ ავსტრიის იმპერატორისათვის რუმინელები აღეარებინა თავისუფალ ეროვნებად. მალე ასტყდა საშინელი შეტაკება და სისხლის ღვრა ტრანსილვანიის სხვა და სხვა ადგილას. პუხერი, რომელიც ტრანსილვანიაში ჯარებს სარდლობდა, ავსტრიის იმპერატორის 1849 წ. სამი ოქტომბრის რესკრიპტის ძალით, არ დაემორჩილა უნგრეთის სამინისტროს. ასტყდა შინაური ომი. რუმინელები აშკარად იმპერატორის ჯარებს მიემხრნენ. 1848 წ. მიწურულში პუხერიმ ჩააქრო აჯანყება და მთელი ტრანსილვანია ავსტრიის ტახტს დაუმორჩილა. 1849 წლის 4 მარტის კონსტიტუციით ტრანსილვანიამ მიიღო წინანდელი დამოუკიდებლობა და გაუთანასწორდა ტახტის სხვა სამფლობელოებს. 1860 წლის 20 ოქტომბერს აღდგენილი იქნა წინანდელი კონსტიტუცია და ტრანსილვანიის სასახლის კანცელარია.

1863 წ. გერმანშტადში სეიმი გაიმართა, რომელიც არჩეული იყო ახალი კანონის მიხედვით. სეიმმა გადასწყვიტა მიეღო თებერვლის კონსტიტუცია და წარმომადგენლები ავსტრიის რეიხსრატში გაეგზავნა, მაგრამ 1865 წელს, ბელკრედის დროს, არჩევნების წინანდელი წესები იმდენათ აღადგინეს, რომ სეიმში უპირატესობა უნგრელებს ერგო და 1866 წელს გადაწყდა ტრანსილვანიის უნგრეთთან შეერთება. ეს დამტკიცდა უნგრეთის მეფის 1867 წლის 17 თებერვლის რესკრიპტით. ტრანსილვანიის სასახლის კანცელარია დაიშალა, ხოლო იმავე წლის ივნისში დათხოვნილ იქმნა ადგილობრივი სეიმი. მას აქეთ ტრანსილვანია გადაიქცა უნგრეთის პროვინციად, რომელსაც უნგრეთიი სეიმში თავისი წარმომადგენლები ჰყავს. 1868 წ. 1 იანვარს გააუქმეს უმაღლესი სასამართლო კლაუზენბურგში და მთელი ტრანსილვანია 15 ოლქად დაიყო. ამ დროიდან უნგრელებმა ხელი მიჰყვეს ტრანსილვანიის გაუნგრელებას. მათ გააუქმეს წინანდელი კანონი, რომელიც აღიარებდა ენათა (რუმინულისა და გერმანულის) თანასწორუფლიანობას უნგრულ ენასთან და თავიანთი უნგრული ენა ყველასთვის სავალდებულო გახადეს. თავის მხრივ რუმინელები და გერმანელები მტკიცედ იცავენ თავიანთ ეროვნულ სახეს და უნგრელებთან შინ თუ გარედ, საკანონმდებლო დაწესებულებაში თუ ქუჩაში მუდმივი შეხლა-შემოხლა მოსდით. დღეს აქ ეროვნული ბრძოლა მეტის-მეტად გამწვავებულია.

# კიდევ ცოტა რამ ქართველების გრიგორიანობაზე

სომხის სარწმუნოების ნიშანდობლივი თვისებაა: გრიგორიანობის მაღიარებელს მისი ეროვნება მოუსპოს და სომხის ერს შეუერთოს იგი. ისლამი თავის-თავად ფანატიკოსობამდის მძლავრი სარწმუნოებაა, მაგრამ ისიც კი ვერ სჩადის, რომ მისს მაღიარებელს ეროვნებაზედ ხელი აალებინოს. მაჰმადის სწავლის მაღიარებელი სპარსი, თათარი, ლეკი, ოსი, ჩინელი, ინდოელი და თვით ქართველიც, რომელსაც ძალდატანებით მიუღია ისლამი, ისევ თავის ეროვნების წევრადა რჩება, საქრისტიანო სარწმუნოების მიმდევარნი ერებიც ეგრეთვე, მაგრამ ერთი კი რაიმე მიზეზით რომ გრიგორიანის სარწმუნოება მიიღოს თათარმა, ქართველმა, ანუ სხვა რომელიმე ერისამ, მაშინვე სომხად აღიარებენ მას და გადაგვარების გზაზედ აყენებენ—ეროვნებას უსპობენ.

სომხები თავის სარწმუნოების გავრცელებისათვის მისსიონერობას სულაც არ ეწევიან, როგორც სხვა სარწმუნოების ერები ჰხარჯვენ ამაზედ ფულსა და შრომას—რა არის დავრდომილ ერებს ბედნიერობა მივანიჭოთო. ამისთვის სომეხი შრომასა და ხარჯს რათ გასწევს, ანგარიშიანი ხალხია. ისინი სხვა ერის გასომხებას ხერხით და საადვილო რამ ავან-ჩავნობით ეწევიან; ხშირად სხვისა გარემოებაც ჰშველისთ. და რაკი ასე თუ ისე ვისმე გრიგორიანობა მიაღებინეს, ან შემთხვევით იძულებით მიიღო—მორჩა, იგი, რომელი ერისაც უნდა იყოს, უთუოდ ყურმოჭრილი სომეხი უნდა გახდეს. მათ მისი ბედი არ ენაღვლებათ, როგორც სხვა ქრისტიან მისსიონერებს, მათ უნდათ მისი პიროვნება დაიქვემდებარონ, მისი ქონება, მისი ძალღონე თავიანთ პოლიტიკური ანგარიშებისათვის მოიხმარონ, თორემ მისი ბედი და უბედობა რაში ეჭაშნიკებათ.

ეხლა ჯერ გადაუბირებელს გრიგორიან ქართველებსაც დაებლაუჭნენ, ურცხვად ამტკიცებენ თურმე მათს ეროვნობითაც სომხობას და მათი გადაბირებისათვის, ეროვნებისგან მთლად მოწყვეტისათვის ამოქმედებულან. აქაც რასაკვირველია სოვდა მუშაობს და არა განმანათლებელი რამ მისწრაფება.

უარს ჰყოფენ, რომ ქართველი გრიგორიანი ბევრია: ზოგი გარემოების იძულებით გაგრიგორიანებულა, ზოგი ტერტერების და სომეხი ნათლიების ოინბაზობით, ზოგიც ცოლ-ქმრის უთანხმოების მიზეზით. არა ჰსურთ დაიჯერონ, რომ ძველად ბევრ ქართველს შვილი სომხის ტერტერისთვის მოუნათვლინებია მხოლოდ იმიტომ, რომ გასჭირებია, ხოლო მართლმადიდებელი მღვდელი იმ ადგილებში არა ყოფილა; ან კიდევ ქართველ ქმარს და სომეხ ცოლს შვილის მონათვლაზედ დავა მოსვლიათ, ქმარს დაუთმია, შვილი სომხურად მოუნათლავთ; ან ჩვენ სოფელში ჩრჩილად შესულ სომხის ვაჭარს ნათლიობა შეუთავაზებია გლეხი კაცისთვის, თან მოსანათლი ბავშვი „საჩუქრად“ უთხოვნია და ესე სომხურ წესზედ მოუნათვლინებია.

ამ მიზეზების გავლენით არის გასომხებული მოზდოკის და ყიზლიარის ქართველი მოსახლეობა, ასეა გასომხებული ჩემი მეზობელი მუჩაიძისა და ყარადაშვილის ოჯახები და ყველა ის გვარები, რომელნიც ქართული სახელებიდან წარმოსდგებიან და მართლმადიდებელი ქართველი გვარებიდგან არიან გამოგლეჯილნი: ელიზბარაშვილები, თვით შურაბიშვილები, ვახტანგიშვილები და სხვ. ეს იყო ძველად, როდესაც ქართველი პოლიტიკაზედ მწყალობლად იყო, ყველა საქრისტიანო სარწმუნოებას პატივით ეპყრობოდა და ამასთან შვილის მოსანათლად თავის მღვდლის მოწვევას, ან თვითონ მასთან წასვლას, სიშორის გამო ან გზების სიცუდით ვერ ახერხებდა.

ეს იყო ძველად, მაგრამ ურწმუნოთა დასარწმუნებლად ორიოდე სამისთანა შემთხვევას ახლისაც ვიტყვი. 1909—1911 წ. თავრიზში ყოფნის დროს ერთმა ჩემმა ნაცნობმა სომეხმა ხანმა მითხრა: აქ რომ ქართველი სოლომონ ხანია იცნობო? თუ გსურს გაგაცნობო. რაღა თქმა უნდა მაშინვე წავყევი. ჩემი ქართველობა რომ გაიგო ძალიან იამა. ქართული არ იცოდა და სომხურად დამიწყო ლაპარაკი. ძნელად რომ ვუპასუხებდი, ფრანგულზედ გადავიდა, აქაც, რომ მიძნელდებოდა, ჩემი მიმყვანი ხანი დამეხმარა რუსულით და მისი თარჯიმანობით საუბარი გავაბით. აღმოჩნდა, რომ იგი იყო შვილის შვილი მაიორი დავით საგინაშვილისა. ეს მაიორი რუსობის პირველ ხანშივე რუსის აქაურ მთავრო-

ბას სპარსეთისთვის ჯარის ინსტრუქტორად გაეგზავნა. ინსტრუქტორობა თავრიზში ჰხდომოდა. შემდეგში გარემოებას იგი ალექსანდრე ბატონიშვილთან დაეახლოვებინა[1]) და რაკი ესე მომხდარიყო, თავის ქვეყანაში დაბრუნება ველარ გაებედნა. სამუდამოდ თავრიზში დასახლებულიყო, სპარსეთის ქვეშევრდომობა მიეღო, სართიფობა (გენერლობა) მიეცათ და ვიდრე გარდაიცვლებოდა ხან იქვე და ხან სხვაგან გუბერნატორის თანამდებობა ჰქონოდა თურმე. იქვე ცოლად სომხის ქალი შეერთო და შვილებიც სომხურად დაენათლა.[2]) იმ ქალამად სოლომონ ხანი ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორი იყო გენერლის ჩინით, თითონაც და მისი ოჯახიც სომხის სარწმუნოებისანი არიან და გვარად საგინიანი გაუხდიათ ტერტერებს. მაინც ყველა იქაური და უცხოელი დიდკაცობა: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები (კონსულები) იმ ოჯახს ქართველ ოჯახად სთვლიდნენ და თვითონაც უარჰყოფდა სომხობას. შემთხვევას რომ მოეტანა და ვისმე ეთქვა სომეხი ხარო, თვალები აენთებოდა, ტანში გაიშლებოდა და მედიდურად უპასუხებდა: იეს ჰაი ჩემ, იეს ვრაცუმ. უცხოელებსაც ამასვე ფრანგულად უპასუხებდა.[3])

იქვე, თავრიზში, ესეთი შემთხვევაც მქონდა. ერთ დღეს ჩემთან ერთი ქართველი ყმაწვილი კაცი მოვიდა. მიამბო, რომ ხუთი-ექვსი წლის წინ ვიღაცას წამოუყვანია იგი თბილისიდან იქაურ მეხანიკური წისქვილის მექანიკად. იქ სომხის ქალი შეერთო ცოლად და ორი თუ სამი შვილიც მისცემოდა. მეხვეწებოდა, როგორმე მომიხერხე ჩვენს ქვეყანაში დავბრუნდე ცოლშვილითო, თორემ ჰლამის ჩემი ოჯახი მთლად გამისომხდესო. შვილები უნებურად სომხურად მყავს მონათლულიო! საჩვენოში, რომ ძივალ იქ ყველას გადავნათლავო. ჩვენ იქ, ჯარში, ქართველი მღვდელი გვყავნდა და ვუთხარ აქაცა გვყავს ქართველი მღვდელი, მოდი აქვე გადაყნათლოთ მეთქი. ამაზედ მიპასუხა: არა, ბატონო, აქ არ იქნება, საშიშია, ჩემი ცოლის ნათესავები შურს იძიებენო. დიდი ხარჯი უნდებოდა მისს იქიდამ აყრას, ჩემით მაშინვე ვერ მოვახერხე და რომ სხვაც დამეხმარებინა, აღარ დამცალდა, მალე მომიხდა წამოსვლა. ის აღარ ვიცი, წამოვიდა იგი იქიდამ, თუ იქვე ამრავლებს სომხობას.

ხ—ლი.

## ხმობა ხილისა და მწვანილეულობისა

(წერილი მეორე)

არის ორნაირი ხმობა ხილისა და მწვანილისა: ერთია ბუნებრივი, ხოლო მეორე—ხელოვნური. ბუნებრივია, როცა ვახმობთ მზით, ხელოვნურია—როცა ვახმობთ ფეჩებით. ამერიკელებმა ბუნებრივ ხილის ხმობაში პირველობა გამოიჩინეს. ამათ გამოიკვლიეს თუ რა ჯიშის ხეხილი დაერგოთ, რომ მზეზე გამხმარი კარგი გამოსულიყო. შემდეგ გამოიკვლიეს რა საშუალება უნდა ეხმარათ, რომ გამხმარ ხილს წინანდელი, ბუნებრივი ფერი შერჩენოდა. დასასრულ, გამოიგონეს იარაღები, რომ გაეადვილებინათ ხილის გახმობის საქმე. ერთი სიტყვით, მოინდომეს საქმის გაკეთება და კიდეც გააკეთეს. თუ სადმე გინახავთ ბაზარში გასასყიდად ლამაზი და კოხტად გამხმარი ხილი, ეს უსათუოდ ამერიკიდან იქნებოდა მოტანილი. ესენი ძალიან სცდილობენ ხოლმე, რომ გამხმარი ხილი იყოს სუფთა, ლამაზი და კოხტა, შეიძლება გემოთი სულ არ ვარგოდეს, მაგრამ ისე სუფთათ და კოხტათ გაახმობენ, რომ მყიდველი აღარ კითხულობს იმის გემოს. აკია ნათქვამი: „ჯერ თვალითა ვჭამთო და მერე პირითაო". როგორც ეტყობათ, ამერიკელები ამ ანდაზას არ ივიწყებენ და ყოველ მუშაობაში სცდილობენ რაც შეიძლება სუფთა და კარგი რამ გამოიყვანონ.

გასახმობად დამზადებულს ხილს, ე. ი. დაჭრილს და ლასტებზე დალაგებულს, სანამ მზეზე გამოჰფენენ, გოგირდის კომლში ამყოფებენ ერთი საათით. ამას იმისთვის სჩადიან, რომ ფერი არ დაჰკარგოს გახმობის შემდეგ, ქია-ღუა არ მიეკაროს და გახმობითაც მალე გახმეს. ცხადია, რამდენად კარგი ყოფილა გოგირდის კომლი. იქნება ეჭვი დაგებადოთ იმაზე, რომ სუნი და გემო შეჰყვება გოგირდისაო? მე, როგორც პრაქტიკულად გამოცდილი, გარწმუნებთ, რომ იოტის ოდენა არც სუნი და არც გემო არა რჩება გოგირდისა ხილში, სამაგიეროდ გამოდის შესანიშნავი ლამაზი და კარგი გემოსი. მართლაც-და, როგორ დარჩება გოგირდის ან სუნი და ან გემო, როცა სამი-ოთხი დღე მზეზე გვაქვს გამოფენილი და როგორ ვერ გაქარდება სუნი? გემო კი საიდან მიეცემა, გოგირდი ხომ წყალში არ გაგვილესნია და ხილი შიგ არ ამოგვილია, ასე რომ ამაზე ეჭვი სრულებითაც არ უნდა ვიქონიოთ. დაჭრილი ხილის დასალაგებლად ხმარობენ ლასტებს. ეს ლასტები იმ ზომისა უნდა იყოს გაკეთებული, რომ ერთს ადამიანს არ გაუჭირდეს მისი აღებ-დაღება, მეტადრე მაშინ, როცა მზე აღარ გვჭირდება და ერთმანეთზე ვალაგებთ დასაჩრდილებლად, რის გამოც აღარ გვჭირდება საღამოობით ოთახში შეზიდვა. ზომა ამ ლასტებისა უნდა იყოს: სიგძე $20^1/_2$ ვერშ., სიგანე $13^3/_4$ ვერშოკისა; თავსა და ბოლოში $^1/_2 \times 1$-ნი რეიკა უნდა დაეკროს. ასეთი ლასტი თითქმის სკამეიკას წარმოადგენს და ასე იმისთვის აკეთებენ, რომ ჰაერმა კარგათ იმუშაოს ლასტების ერთმანეთზე დალაგების დროს. გოგირდის დასაკმევად უნდა გააკეთებინოთ იმ ზომის ყუთი, ნახევარ ვერშოკიან ფიცრისა, ლასტები შიგ ჩაეტიოს ერთიერთმანეთზე დალაგებული და შუაშიც დარჩეს იმოდენი ალაგი, რომ გოგირდის ჰურჭელი დაეტიოს, სიგანე ამ ყუთისა უნდა იყოს ერთი არშინი და ათი ვერშოკი, სიმაღლე ერთი არშინი და ორი ვერშოკი. ასეთ ყუთში თავსდება ოცი ლასტი, რისთვისაც საკმარისი იქნეაა ერთი გირვანქა გოგირდი. ხილის გასაფრცქვნელად და დასაჭრელად ამერიკელებმა გამოიგონეს აგრეთვე ერთნაირი იარაღი, რომელიც იყიდება ყველა რკინეულების მაღაზიაში და ღირს 2 მან. 25 კაპ. ეს იარაღი ერთსა და იმავე დროს აცლის გულს, ფცქვნის და სჭრის მრგვალ-მრგვალათ; გამოიგონეს აგრეთვე მაშინა ატმისა და ქლიავისთვის, რომელიც ფცქვნის და აცლის კურკას (ჰქვია „უნიკუმი"). ეს მაშინები აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს ყოველი მეურნისათვის, რადგან ჯერ ერთი კოხტათა სჭრიან და მეორეც დროს ბევრს არ გვაკარგვინებენ რომ ქლიავი კი ამ რიგათ არა ხმება. ქლიავისთვის ადუღებენ წყალს, ჰყრიან დაფხვნილ „პატაშს" ათ ვედრო წყალზე ნახევარი გირვანქა პატაშია საჭირო, შემდეგ კალათებში ჩაყრილი ქლიავი უნდა ადუღებულს წყალში ჩავკიდოთ ერთი წამით და ამოღებისთანავე ცივ-წყალშიაც უნდა ამოვავლოთ. ამის შემდეგ დააწყეთ ლასტზე და გამოაფინეთ მზეზე.

პატაში იმიტომაა საჭირო, რომ ქლიავის კანი დაჩხვლიტოთ ადვილად ხმება. თუ გნებავთ, რომ თქვენი ქლიავი შეხედულობით ლამაზი იყოს საჭიროა გლიცერინი. ეს კეთდება ასე: როცა ქლიავს გავახმობთ, უნდა კიდევ ავადუღოთ წყალი და ათ ვედრო წყალში ჩავასხათ ერთი გირვანქა გლიცერინი და კალათით კიდევ ჩავკიდოთ ქლიავი ორს წამს და კვლავ გაჰკიდოთ მზეზე გასახმობად. ამ გვარად გამხმარი ქლიავი ლამაზიც გამოდის და არც ფერსა ჰკარგავს.

ახმობენ მწვანილსაც. ოღონდ მწვანილს არაფერს წამალს არ უშვრებიან, მხოლოდ ხმარობენ სიფრთხილეს, რომ მზეზე ბევრს ხანს არ დააყენონ და ფერი არ დაუკარგონ, ამისათვის თუ მწვანილს შეჰხვდა ერთი დღე მზიანი, საკმარისია მისთვის.

დასასრულ, მოგახსენებთ, რომ მწვანილიანი ლასტები უნდა ეწყოს ჩრდილში ე. ი. ლასტები ერთმანეთზე უნდა დალაგდეს იმ დრომდის, მანამ მწვანილი არ გახმება.

როგორც ვხედავთ სულ უბრალო რამ ყოფილა იმათი წესი ხილის გახმობისა, მაგრამ კარგი და დაუფასებელი. ამერიკიდან მოტანილი გამხმარი ხილი იყიდებოდა გირვანქა 80—90 კ. ხანდახან 1 მან. 20 კაპ. ასე რომ ეს ფასი ძალიან კირგია, რომ ვიანგარიშოთ შრომაც და დახარჯული მასალაც.

ნინო კიკნაძე.

---

[1]) დავით საგინაშვილის სურათი და მის ოჯახში საგვარეულო განძად ცნობილი, ვინმე ყაიიმაზოვისაგან დახატული, ალექსანდრე ბატონიშვილის სურათი (ასლის ოჯახში დატოვებით), ჩვენს საისტორიო მუზეუმს ჩამოვუტანე.

[2]) სოლომონ ხანი შარშან გარდაიცვალა. დარჩა ორი ძმა, ერთი დავით ხანი, (მეორე სხვაგან იყო და ვერ გავიცან) და სამი ვაჟი; ზურაბ ხანი, ალექსი ხანი და გურგენ ხანი და ერთი ასული.

[3]) ამ გვარეულობას საკუთარი უბანი აქვსთ სასაფლაოზედ და ყველა საფლავის ქვას უეჭველად ქართულადაც აწერია მიცვალებულის ვინაობა.

## დაბა-სოფლები

**ს. მეჯვრისხევი.** არ ვიცი, თუ კიდევ სადმეა ისე ცუდათ მოწყობილი ფოჩტის საქმე, როგორც მეჯვრისხევში; ჟურნალ-გაზეთებს აქ მეორე დღეს ვიღებთ. უეჭველად ყველა გაზეთის გამომწერი იქ უნდა დაესწროს ფოჩტის გარჩევას, ან და დაავალოს ვისმეს, რომ იმის გაზეთი არვის დაანებოს, თორემ თავის გაზეთს ოვალითაც ველარ დაინახავს. ბევრჯელ საყვედურის წერილით მივვიმართავს რედაქციისათვის, რომ გაზეთებს რიგზე არ გვაწვდით და თურმე აქ მოსული ჩვენი გაზეთები კი სხვას უზიდნია.

კერძო წერილების ბედიც ასეთივეა, სოფლის კანცელარიაში გროვდება და დარიგებაზე არავინ ზრუნავს. მოაგარაკე წრეულს აქ კვლავინდებურზე მეტია. მათ შორის სომხები შეადგენენ უმრავლესობას. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამ ბატონებს ისე მოსწონებიათ ეს სოფელი, რომ აქ მოკალათებასაც აპირობენ. საჭიროა წვრილი კრედიტის ამხანაგობას და აგრეთვე აქაურ ინტელიგენციას მარჯვეთ ეჭიროთ თვალ-ყური, რომ ამ ჩვენმა პატივცემულმა სტუმრებმა სახლ-კარზე ხელი არვის დააბანინონ.

ერთი ხანია აქ საინტენდანტოს მოხელეები მოვიდნენ. მეჯვრისხევში და მის ახლო-მახლო სოფლებში ომის საჭიროებისთვის თრიმლს აგროვებდნენ. ფუთს 3 მ. და 50 კ. ყიდულობენ. სხვილმა მეთრიმლეებმა აქაც სარგებლობა ჰნახეს: ხალხში ხმა გაავდეს: არიქა, მთავრობა ართმევს თრიმლს და არავითარ სასყიდელს არ აძლევსო. თუ ვისმე აქვს, ჩვენ 2 მანეთად ავიღებთო. სოფლელებიც დიდი სიამოვნებით უთმობენ თრიმლს თავიანთ კეთილისმყოფელთ. ამ წინაზედ სულ ერთიანათ მოიარეს მეჯვრისხევზე ახლო-მახლო სოფლები საინტენდანტოს მოხელეებმა, მაგრამ ვაჭრებისაგან შეშინებულმა ხალხმა თრიმლი სულ ერთიანათ გადამალა.

ეს ორიოდე თვე იქნება, რაც გორის ქალ. საზ. „მანდილოსნის" განყოფილებამ მეჯვრისხევში გახსნა ფურნე და კარგადაც მიჰყავდა საქმე. ახლა კი შიგ გვერდში, რამდენიმე კერძო პირმა შეამხანაგებით გახსნეს ფურნე და ნაკლებათაც ჰყიდიან პურს. უეჭველია „მანდილოსანს" ძირს გამოუთხრიან, თუ რაიმე ღონე არ იღონეს.

გრაკხი.

—

**დ. ხაშური.** დ. ხაშურში, სხვა და სხვა მრავალ საზოგ. დაწესებულებათა და სასწავლებელთა გარდა, არსებობს რკინის გზის ორ-კლასიანი სასწავლებელი. ყოველწლივ ამ სასწვლებლის კარ წინ იკრიბებიან დიდი ძალი მშობლები ბავშვებით და სცდილობენ თავიანთი შვილები აქ მიაღებინონ. რათ ეტანება ამ სასწავლებელს ამოდენა მთხოვნელი? სხვა და სხვა მიზეზების გარდა კიდევ იმიტომ, რომ ამ სასწავლებელში სწავლის საქმე საუცხოვოდ არის დაყენებული. ხშირია, როდესაც აქ გათავებული მოწაფე პატარა მომზადების შემდეგ თავისუფლად აბარებს გამოცდას გიმნაზიის მე-IV—V კლასში. ტფ. რკინის გზ. ტეხნიკ. საზ. სასწავლებელში ხშირად საქალაქ. ოთხკლას. სასწავლებელ გათავებულ შეგირდებსაც კი კონკურენციას უწევენ მისაღებ გამოცდის დროს. აი რამდენი ცოდნა გამოაქვთ ამ სასწავლებლიდან. რასაკვირველია აქ დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწ. ზედამხედველს ანდრ. ალ. ორნიანსკის თავის მასწავლებელ კორპორაციითურთ. ამ სასწავლებელში იღებენ ორივე სქეს ს ყმაწვილებს. არსებობს პარალელური განყოფილებანი (ყველა კლასი სამ-სამი განყ. შესდგება). შარშან ამ სასწავლებელში 769 მოწაფე იყო; ესენი ეროვნების მხრივ ასე იყოფებოდნენ:

| ეროვნებანი. | შეგირდენი ორივე სქესისა. | %% |
|---|---|---|
| ქართველები . . . | 575 | $74,_5$% |
| რუსები . . . . . | 138 | 18% |
| სომხები . . . . | 17 | $2,_{25}$% |
| სხვა და სხვა ეროვნებისანი. . . . . | 39 | 5% |
| ს უ ლ. . . . | 769 | — |

როგორც მკითხველი ხედავს ამ სასწავლებელში ყველაზედ მეტნი ყოფილან ქართველნი $74,_5$%, ე. ი. 575. ეს ბავშვები, თუ სულ არა, მეტი ნაწილი მაინც არიან შვილები რკინის გზის მოსამსახურეთა უფრო შეუძლებელ ნაწილისა; ეს ბავშვები არიან იმ ხალხის შვილნი, რომელთაც არა ერთი საზოგ. დაწესებ. და საქმენი მოაწყეს ხაშურში; ეს ბავშვები არიან შვილნი მუშა ხალხის, რომელთაც ოფლით იკვლევენ თავიანთ გზას და დავიჯერო ამ ხალხმა ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ 575 ქართველი ბავშვი სკოლაში სამშობლო ენას მოკლებულია? რა დააშავეს ბავშვებმა? რათ ვართმევთ სამშობლო ენას? ეგ ხომ მომაკვდინებელი ცოდოა. დეე, მათაც იტიკტიკონ თავიანთ მშობლიურ ენაზედ! მათაც მოისმინონ ქართული ენის გაკვეთილები. რამდენადაც ვიცი, თვით ამ სასწავლებლის ზედამხედველი იმდენად კეთილი და მიუდგომელი კაცია, რომ ქართული ენის შემოღებას თავის სასწავლებელში არა თუ წინააღმდეგობას გაუწევს, არამედ დახმარებასაც აღმოუჩენს ამ საქმეში. საჭიროა მხოლოდ იზრუნონ ამის შესახებ მშობლებმა, მშობლებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და დაუყოვნებლივ ითხოვონ ქართული ენის გაკვეთილების შემოღება სასწავლებელში, სადაც $74,_5$% ქართ. ბავშვები დაიარებიან.

მილოში.

—

**ს. კასპი.** გაზაფხულზედ გაზეთ „საქართველო"-ში ვწერდი ს. კასპის ახლო-მახლო სოფლები და ქსნის ხეობას სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს და ს. კასპი-კი გადარჩა ამ განსაცდელს. იმასაც უმატებდი, რომ ამ თოთხმეტ წელიწადს ჩემ ს. კასპის ყუფნის დროს ხშირად მოსულა სეტყვა და დიდი ზიანი მიუყენებია ახლომახლო სოფლისთვის, მაგრამ კასპი-კი გადარჩენილა ყოველთვის. მაგრამ ბუნებამ არც ს. კასპი დასტოვა უყურადღებოთ, ამ თვის ცხრას, საათის 12, უცებ ცა მოიღრუბლა, ათ წუთის შემდეგ ისეთი კოკის პირული წვიმა მოვიდა და ზედ მოჰყვა თხილის ტოლა სეტყვა, რომელმაც გასტანა ნახევარ საათს და დიდი ზიანი მიაყენა ახლად შემოსულ ყურძენს, (უფრო თეთრს), რომელიც სულ დახეთქა, და დიდი ზარალი მიაყენა გვიან დათესილ ბოსტნეულობას.

წლეულს პურის და სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ ნაკლებია, ვენახებს, როგორც ნაწამლს, ისე უწამლავს კარგი პირი უჩანდა და ხალხი დიდ იმედით მოელოდა უწინდებურად რთველს, მაგრამ ხალხს მოლოდინი გაუცრუვდა და დიდ საფიქრებელში ჩააგდო მიწასთან გასწორებული მუშა ხალხი. ხალხს სიმშილი ელის, ამიტომ საჭიროა ხალხმა დროზედ უშველოს თავის-თავს.

აქაურმა კოოპერატიულმა საზოგადოებამ ხალხში დასარიგებლად ფასათ გამოიწერა ერთი ვაგონი ფქვილი.

ა. დარეჯანაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |


# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ

ცნობის კონტორას

# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

# სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

# საგალანტერიო მაღაზია
# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
# ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

„სორაპანის" გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

# ქართველი მწერლები

ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი

# ქართველი მწერლები

ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.

პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძეს.

(10-295-6)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

# ლ ა გ ი ძ ი ს

**და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაგიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქათრიულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაგიძის წყალი"

**მხოლოდ და მარტო ლაგიძის** წყალია **მომზადებული სრულიად უვნებელის** მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

# სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „განათლება"-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მურზახნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინაზება.